განკარგულება:**g-31. 31222993**
თარიღი:**26/10/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №57

2022 წლის 26 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრს“ (ს/კ 433649359) მისი არსებობის ვადით, „სპორტული მუზეუმის“ ფუნქციონირების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N37 - ში მდებარე, შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე: N19 – 21.06 კვ.მ; N28 – 36,99 კვ.მ; N29 – 10,09 კვ.მ. და N30 – 21,03 კვ.მ. ოთახები. (საერთო ფართით 89,17 კვ.მ).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი